www.adjaraps.wordpress.com

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი

აჭარა P.S.

16 აგვისტო, 2011 წელი, №20 (616)

ფასი 50 თეთრი

ჩვენ არ ვიცვლით ფერს!

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

პატრიარქი აჭარაში

საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აჭარაში მცხოვრები აფხაზები მონათლა.

ხალხმრავალი ნათლობა 12 აგვისტოს ბათუმის საკათედრო ტაძარში გაიმართა.

13 აგვისტოს პატრიარქი სარფში კოლხობის დღესასწაულს დაესწრო.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბათუმში 11 აგვისტოს ჩამობრძანდა.

„აჭარა P.S."

„აჭარა P.S."-ის ჟურნალისტები თურქეთში

ხუთი დღის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის შემოქმედებითი ცენტრის ახალგაზრდა ჟურნალისტთა სასწავლო-შემოქმედებითი ტური თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორდუში.

ჟურნალისტურ ჯგუფს ბათუმთან დაძმობილებული ქ. ორდუს მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, წარმოშობით ქართველი ქალბატონი ლეილა არსლანი (გორჯელაძე) და გაზეთ „ორდუ ოლაის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზექი მესუთ იოზერი (ქათამაძე) მასპინძლობდნენ.

ვიზიტის პირველ დღეს შედგა საქმიანი შეხვედრა გაზეთ „ორდუ ოლაის" რედაქციაში, სადაც მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის შემოქმედებითი ცენტრის ახალგაზრდა ჟურნალისტები გაეცნენ თურქი კოლეგების საქმიანობასა და გამოცდილებას. შეხვედრაზე გამოითქვა აზრი საქმიანი ურთიერთობის დამყარებისა და ურთიერთ საინტერესო მასალების გაცვლის თაობაზე.

თურქეთში მყოფი „აჭარა P.S."-ის ახალგაზრდა ჟურნალისტები ქ. ორდუს ორ ტელევიზიაში სატელევიზიო ფორმატში მომუშავე კოლეგების საქმიანობასაც გაეცნენ, მათ ოფიციალური მიღება გაუმართეს ქალაქ ორდუს მერმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის შემოქმედებითი ცენტრი ამ ვიზიტისადმი მიძღვნილი გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვებას გეგმავს, პარალელურად მზადდება სატელევიზიო ფილმი, რომელიც მალე ჩვენს ვებ.გვერდზე აიტვირთება.

ჟურნალისტურ ჯგუფს თურქეთის რესპუბლიკაში თან ახლდა მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე და მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის შემოქმედებითი ცენტრის კონსულტანტი ნუგზარ ჟორდანია.

აგავას მწარე ყვავილობა ქობულეთში...

ნახევრადჩაშლილი სეზონი, ცარიელი გამგეობა და ატირებული ბანკის კრედიტორები...

ეს ყოვლად უწყინარი აგავა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის წინ ასლან აბაშიძის ხელისუფლების ნოსტალგიამოძალებულთა დამამშვიდებელი საშუალებაა, იგი ერთი თვის წინ აყვავდა და როგორც წესი ეს მცენარე ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ყვავილობს, ამის შემდეგ ძირფესვიანად ხმება და იღუპება...

გვ.2

აგავას ყვავავილობა ვარდების რევოლუციის ქარსმოყოლილი მუნიციპალიტეტის 78 თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლებას დაემთხვა, თითოეულ მათგანს მოულოდნელად განცხადება დააწერინეს და როგორც გამგეობაში აცხადებენ, ეს ყველაფერი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილი უფროსის - გურამ ვერულიძის მიერ ქრთამის აღებას უკავშირდება, რომელიც სამართალდამცავებმა ამ რამდენიმე ხნის წინ დააკავეს.

როგორც აღმოჩნდა, აგავას ვარდზე მეტი ეკალი ჰქონია და მისმა ყვავილობამ ქობულეთის გამგეობის თითქმის მთელი შემადგენლობა აღგავა. ეს ისე, არც მთლად სერიოზული ლირიული გადახვევისთვის, თორემ როგორც ჩანს, ქობულეთში ახლა სახუმაროდ ნამდვილად არ სცალიათ.

გურამ ვერულიძის დაკავების შემდეგ ქობულეთის გამგეობაში აჭარის მთავრობის კომისიაც იმყოფებ-

ჯუმბერ თავართქილაძე: მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ ვარშალომიძესა და სააკაშვილს შორის მოხდა ხელდახელ შეხლა-შემოხლა და ლევანმა თავი ღირსეულად დაიჭირა, მან არ მისცა სააკაშვილს საკუთარი ღირსების შელახვის საშუალება.... აქედან გამომდინარე, რადგან ამდენი გააკეთა, მე მოვუწოდებ ვარშალომიძეს, რომ გადადგეს!

კოტე ცნობილია, ვინ იქნება ქეთო?!

ახალი ბათუმური ჭორის თანახმად პრეზიდენტი სააკაშვილი „ბენზეში" ახლადგახსნილი ხელოვნების ცენტრის მშენებლებს ასე დამუქრებია: თუ დათქმული დროისათვის სამუშაოებს ვერ დაასრულებთ და „ქეთო და კოტეს" პრემიერა არ შედგება, იცოდეთ მე ვიქნები კოტე და თქვენ ყველანი გახდებით ქეთოო... და... ასე თუ ისე რემონტი დასრულდა და შენობაც ზარზეიმითაც გაიხსნა... როგორც ამბობენ, შენობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მაგრამ პრეზიდენტი როგორც ყოველთვის, მაინც კმაყოფილია... მაგრამ...

გოგოლის პელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის უნიტაზი და ...

გვ.6

ირჩევ „აჭარა P.S." - ესე იგი, მართალი ხარ!

აჭარა P.S. - 2011 წლის 16 აგვისტო №20 (616)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

აგავას პირველი მწარე ყვავილობა ქობულეთში...

ნახევრადჩაშლილი სეზონი, ცარიელი გამგეობა და ატირებული ბანკის კრედიტორები...

(პირველი გვერდიდან)

ოდა და სიტუაციას სწავლობდა. სწორედ ამ კომისიამ მიიღო თანამშრომელთა განთავისუფლების გადაწყვეტილება.

ქობულეთის გამგებელი ასლან ყურშუბაძე ადასტურებს, რომ თანამშრომლებმა განცხადებები მისი მითითებით დაწერეს და აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ინფრასტრუქტურის სამსხურის სპციალისტის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავების გამო მიიღო. მისივე თქმით, საკადრო ცვლილები სხვა შესაძლო დარღვევების გამოვლენას და ეფექტური მუშაობის სურვილს უკავშირდება. ასლან ყურშუბაძის მტკიცებით, სამსახურიდან ყველა თანამშრომელი არ გათავისუფლდება. თანამშრომელთა დათხოვნის იგივე მიზეზებს ასახელებს საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძეც. აღდგენილი და ახლადდანიშნული თანაშრომლები თანამდებობებზე სექტემბრამდე გამოსაცდელი ვადით დარჩებიან.

თვით გამგეობის განთავისუფლებული თანამშრომლები ჟურნალისტებთან საუბარს ერიდებიან, კომენტარისგან თავი აპარატის უფროსმა მერაბ ჯინჭარაძემაც შეიკავა, თუმცა ქობულეთის გამგეობის კულუარებში მტვერსასრუტიც კი ამ გათავისუფლების შესახებ ლაპარაკობს.

როგორც ამბობენ, საკურორტო სეზონის წინ მუნიციპალიტეტის ხელისუფლებაში მომხდარი მსგავსი რეპრესია მძიმედ აისახა არა მარტო ქობულეთის ინფრასტრუქტურაზე, არამედ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სასიცოცხლო რგოლზე, გამგეობას დიდი თავსატეხი გაუჩნდა თუ როგორ უნდა იმართოს პრაქტიკულად ხელისუფლების გარეშე დარჩენილი ასიათასიანი მუნიციპალიტეტი.

მომხდართან დაკავშირებით რიგითი ქობულეთელების ნაწილმა არაფერი იცის, ნაწილს კი მხოლოდ ჭორის დონეზე აქვს გაგებული, თუმცა, ჭორის ავტორებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ ის ფაქტი, რომ თუ ძიება ვერულიძის საქმეზე სწორ და ობიექტურ მიმართულებას აიღებს, ეს საქმე იმაზე შორს წავა, ვიდრე ბევრს ჰგონია. საქმეში კი პირდაპირ თუ ირიბად აჭარის პირველი პირის ახლობლების სახელებიც ჟღერს, რომლებსაც გამგეობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობები ეჭირათ.

ქალაქში კი გაგანია საკურორტო სეზონია, მაგრამ დამსვენებლის ნაკლებობით შეწუხებულ ქობულეთელებს გამგეობის პრობლემებისთვის ნაკლებად სცხელათ, საქონლით დატვირთულ დახლებს მყიდველი არ ჰყავს, მდიდრული რესტორანების უმრავლესობა ფაქტობრივად ცარიელია, სასტუმროები კი დამსვენებელს ამაოდ ელიან...

მართალია, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ტურიზმზე დიდ იმედებს ამყარებს და ტელევიზიებიც წარმოუდგენელ ციფრებს ასახელებენ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, აჭარის ტურისტულ რაიონებში დამსვენებელზე მეტი იმედგაცრუებული ადგილობრივი მოსახლეობა გვხვდება, რომლებსაც ბანკის კრედიტები აქვთ აღებული და პერსპექტივაში მხოლოდ საკუთარი საკრედიტო ისტორიის უკვე მერამდენედ გაფუჭება დარჩენიათ... ისტორია ისტორიაა, მაგრამ ბანკებთან საქმის გაფუჭებას რა შედეგებიც მოყვა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომმა პერიოდმაც დაგვანახა...

სეზონის ნახევრადჩაშლის მიზეზად გავრცელებული ჭორი ანუ ზღვაში ზვიგენებისა და რადიაციის ერთდროული შემოჭრის შესახებ შექმნილი მითი სახელდება, რაც თითქმის ყველა სეზონის წინ ახალ-ახალი თემატიკით იქმნება, მაგრამ რეალობაში მიზეზი გამათხოვრებული ხალხის აუტანელ ყოფაში უნდა ვეძიოთ... რაც არ უნდა ბევრი რეკლამა აკეთოს ჩვენმა პრეზიდენტმა, აღმოსავლური ანდაზისა არ იყოს, ხალვა - ხალვას ძახილით პირში სიტკბო ნამდვილად არ ჩაგიდგება.

რა კავშირშია ქობულეთური აგავას ყვავილობა აჭარის ჯანდაცვის მინისტრისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ლევან ანთაძის გადადგომასთან, ქობულეთური სცენარის ბათუმური განვითარება ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით წააგავს და როგორც გამგეობიდან საკუთარი განცხადებით განთავისუფლებულმა ყოფილმა ჩინოვნიკმა გვითხრა, ვარშალომიძემ მას ამ რამდენიმე დღის წინ თითიც კი დაუქნია, როცა ქობულეთში დანაშაული ხდებოდა, მე აქ არ ვიყავი, მაგრამ, შენ რას აკეთებდიო...

ანთაძე თანამდებობიდან წასვლის მიზეზად გარემოს შეცვლის აუცილებლობას ასახელებს, და როგორც თავად ამბობს დასვენებას გეგმავს, რაც იმდენად ბუნდოვანია, გამეორებადაც არ ღირს, ჭორი ლევან ანთაძის მინისტრობიდან დათხოვნის შესახებ ჯერ კიდევ სამი თვის წინ გავრცელდა, თუმცა იგი დღემდე ასრულებდა მოვალეობას და არც ისე ურიგოდ. მაშინ ანთაძის განთავისუფლების მიზეზად ჭორის ავტორები ვარშალომიძესთან უთანხმოებას ასახელებდნენ, რაც არც ამჯერადაა გამორიცხული.

რას ფიქრობს რეგიონში მიმდინარე საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციური სპექტრი, ამ კითხვით ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის ლიდერს ჯუმბერ თავართქილაძეს ვესაუბრეთ:

- ჩემი სუბიექტური მოსაზრებით ეს ხალხი არა მარტო გაანთავისუფლეს, გამორიცხული არ არის, მათი უმრავლესობა გისოსებს მიღმაც აღმოჩნდეს. ეს ყველაფერი სააკაშვილის ოცდაოთხსაათიან ბათუმურ ვოიაჟს და მის კაპრიზებს უკავშირდება და მისი ყოველი ღრეობის შემდეგ რა გუნებაზეც იღვიძებს იგი, იმისდაგვარად ახორციელებს საკადრო ცვლილებებსაც. ამგვარ რეპრესიულ პოლიტიკას, პრინციპში, ადრეც ველოდი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ბატონი ანთაძის გადადგომა ნამდვილად არ გამხარებია, იმიტომ, რომ მის ირგვლივ დადებითი განწყობა მქონდა... თუმცა, მინდა დავადასტურო, რომ პირადად არ ვიცნობ.

ეს ყველაფერი სააკაშვილის იმ გახმაურებულ სკანდალს უკავშირდება, რაც ბათუმში საცურაო აუზთან მოხდა ამ ერთი თვის წინ. ჯერ იყო ფოტორეპორტიორების დაკავება, შემდეგ კი სხვა მიყოლებული...

მიხეილ სააკაშვილს რაღაცა ძალიან ცუდი აქვს კიდევ ჩაფიქრებული და ეტყობა ასეთი რამეები სწორედ მისი მოქმედების გადაფარვის მიზნითაც ხდება.

მინდა მოვუწოდო ბატონ ლევან ვარშალომიძეს თავადაც დატოვოს თანამდებობა, რადგან მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ ვარშალომიძესა და სააკაშვილს შორის მოხდა ხელდახელ შეხლა-შემოხლა და ლევანმა თავი ღირსეულად დაიჭირა, მან არ მისცა სააკაშვილს საკუთარი ღირსების შელახვის საშუალება.... აქედან გამომდინარე, რადგან ამდენი გააკეთა, მე მოვუწოდებ ვარშალომიძეს, რომ გადადგეს! მან უნდა დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ თავისი ადამიანური ღირსება პრეზიდენტის ახირებებზე მაღლა დგას.

მე, ასევე მოვუწოდებ პრეზიდენტის სამსახურში მდგომ ყველა ადამიანს, იფიქრონ საკუთარ ღირსებაზე, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილის ახირებები ამით არ დამთავრდება, სულ მალე უნდა ველოდოთ აჭარის ხელისუფლებაში ახალ რეპრესიებს, რაც რა თქმა უნდა, ახალი საკადრო პოლიტიკის გატარების სახელით მოინათლება...

მერაბ ჯინაშვილი

სარფიდან-ჩოლოქამდე

1-16 აგვისტო

ჯიდევ ერთი ჯონცერტი ბათუმში

გუშინ ბათუმი კიდევ ერთი გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. პიაცაზე მაყურებლის წინაშე ლეგენდარული მიშელ ლეგრანი და თამარ გვერდწითელი წარსდგნენ.

"შერბურის ქოლგები" - ასე ჰქვია ლეგენდარული ფრანგი კომპოზიტორის მსოფლიო ტურნეს, რომლითაც 80 წლის მაესტრო სცენას დაემშვიდობება. ბათუმის პიაცაზე შეკრებილებისთვის ლეგრანის ცნობილი კომპოზიციები თამარ გვერდწითელის შესრულებით აჟღერდა.

ივანა დღეს გვიმღერებს!

დღეს ბათუმის პიაცა კიდევ ერთ კონცერტს უმასპინძლებს. მაყურებლის წინაშე ამჯერად ცნობილი უკრაინელი მომღერალი ივანა წარსდგება. იგი მსმენელს საათნახევრიან კონცერტს შესთავაზებს. მომღერალი თავის ჯგუფის წევრებთანან ერთად უკვე ბათუმშია და რეპეტიციებს გადის. მომღერალი ამბობს, რომ იგი ბათუმელ მსმენელს სიურპრიზებს შესთავაზებს. კონცერტი პიაცაზე 21.00 საათზე დაიწყება.

ჯიდევ ერთი ჯონცერტი ბათუმში

ოფიციალური მონაცემებით, აჭარაში წელს ტურისტების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა. როგორც აღმოჩნდა, ბათუმში ჩამოსული ვიზიტორებისთვის მიმზიდველი მხოლოდ ზღვა და მზე არ არის. დამსვენებლები, ზღვაზე დასვენების პარალელურად, გართობისა და დასვენების სხვადასხვა საშუალებებს ირჩევენ.

მედიაჯგუფი
„აჭარა P.S.“ -ის
საინფორმაციო სამსახური

გოგოლის პელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის უნიტაზი და წისქვილის ვირები...

მწერალსა და საზოგადო მოღვაწე - შოთა ზოიძეს წარდგენა არ სჭირდება, მით უმეტეს „აჭარა P.S.“-ის მკითხველის წინაშე, რადგან მისი საკმაოდ საინტერესო, მრავლისმთქმელი, ხმაურიანი წერილები სისტემატურად იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამჯერად გთავაზობთ მწერლის ინტერვიუს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ (№133, 16 ივლისი, 2011 წელი) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ - ფურცლებზე დაიბეჭდა.

— ბატონო შოთა, დასაწყისშივე უნდა გავექცე 26 მაისის ტრაგიკულ მოვლენებს და საუბარი თავისუფალ თემაზე დავიწყო: რას ფიქრობს პოეტი შოთა ზოიძე თანამედროვე პოეზიაზე, რა არის თქვენთვის პოეზია?

— რადგან შეკითხვა ორნაწილიანია, თქვენი ნებართვით, ბოლოდან დავიწყებ. პოეზია ჩემი საიდუმლო და საიმედო თავშესაფარია. მე იგი მიცავს გარესამყაროსაგან თავსმოხვეული უარსაყოფი ტენდენციათაგან, გასქანს არ აძლევს ეშმაკს, გნებავთ სატანას, რომელიც მარცხენა მხარზე მაზის. იგი ჩემთვის ის არის, რაც მე ვარ მისთვის. პოეზიაში სნობიზმი არ არის ჩემი სტიქია. ადრეც მითქვამს, ერთი შუათანა მწერალი ვარ-მეთქი. მე იმ სკოლის მოწაფე ვარ, რომელშიც ლექციებს კითხულობენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჭილაძე, ალექსანდრე მეჟიროვი, ანდრეი ვოზნესენსკი, იური კუზნეცოვი.

— კიდევ დაგისვამთ ერთ თავისუფალ კითხვას: მწერლობა განთავისუფლდა საბჭოთა ცენზურისა და სოციალისტური რეალიზმისგან. როგორ აისახა ეს ბოლო წლების ლიტერატურულ ცხოვრებასა და პირადად თქვენზე?

— სოციალისტური რეალიზმისგან კი გათავისუფლდა, მაგრამ, სააკაშვილის დიქტატურა დაგვატყდა თავს. მე არ გახლავარ ის მწერალი, რომელიც უმალ დაეუფლება მოდურ სახეებს. არც ისე გულმავიწყი ვარ, რომ წარსულსა და დღევანდელობას შორის პარალელი ვერ გავავლო. საბჭოთა რეჟიმის დროს, რასაკვირველია, შეეძლოთ დაეჭირათ მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, მეცნიერი, მაგრამ ყვაოდა მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება. ახლა მწერალს და მეცნიერს შიმშილით კლავენ, არც იჭერენ და არც ხვრეტენ, მაგრამ კლავენ მწერლობას, ხელოვნებას, მეცნირებას. ეს აზრი, რომელსაც მთლიანად ვიზიარებ, დიდებულ ვახტანგ გოგუაძეს ეკუთვნის. მსოფლიო პროზის მწვერვალი მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“ სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიის დროს დაიწერა. იგი XX საუკუნის 20-იან წლებში იქმნებოდა. გავიდა ოცი წელი, გავა კიდევ ოცჯერ ოცი, მაგრამ „წყნარ დონს“ ვერავინ და ვერაფერი შეეტოქება. იგი შექმნა გენიალურმა ტალანტმა და ქვეყნის მაშინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა. რატომ ვერაფერი დაწერეს მსგავსი სსრ კავშირიდან უცხოეთში ემიგრირებულმა მწრლებმა?! სიმართლე თუ გინდათ, საბჭოთა საქართველოში აყვავდა მწერლობა და მეცნიერება, აყვავდა კულტურა, რომელსაც ახლა სააკაშვილის რეჟიმი კლავს. კარს მომდგარი ომის წლები, როცა ყოველი კაპიკი თავდაცვის ფონდში მიდიოდა, 1941 წლის თებერვალში შეიქმნა და დაფინანსდა სქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ახლა ხელისუფლებამ მოახერხა მისი დანგრევა. მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, ირაკლი აბაშიძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე განა მაშინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა არ დაბადა?! რა შექმნეს ამათი ნაწარმოებების დარი უცხოეთის „უცენზურობის“ პირობებში გრიგოლ რობაქიძემ და სხვა ემიგრანტებმა?! ახლა რუსეთის სკოლებში ასწავლიან სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგს“ და არ ასწავლიან ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, გოგოლის „მკვდარ სულებს“. ჩვენთან ხმარებიდან ამოიღეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. აღარ ისწავლება რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, ილიას — „ჩემო კარგო ქვეყანავ“, აკაკის — „სულიკო“.

— ჩვენი პოლიტიკოსები, მიმომხილველები თუ ექსპერტები საპირისპიროს ამტკიცებენ. მათი აზრით, სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიამ ჩაკლა შემოქმედებითი ნიჭი და პათოსი.

— ნიჭის ჩაკლა შეუძლებელია. ჩვენი პოლიტოლოგები და ექსპერტები მე მაგონებენ გოგოლის პელაგეას, რომელსაც ერთმანეთში ერეოდა მარცხენა და მარჯვენა. სწორედ, ისინი აზროვნებენ სოციალისტური იდოლოგიის სქემებით, როგორც ბრეჟნევის ეპოქაში ჩარჩენილები, ისეთი ეპითეტებით ამკობენ დიქტატორ სააკაშვილს, ილია ულიანოვის ვაჟსა და რეგვენ ნიკიტა ხრუშოვსაც კი შეშურდბოდათ. მათი უმეტესობა ხელისუფალთა წისქვილზე უშვებს წყალს. ერთმანეთს შეადარეთ ახლანდელი და სტალინური ეპოქის „ლიტერატურნაია გაზეტა“ და დარწმუნდბით, რისგან რა გათავისუფლდა. ჩვენი „ლიტერატურული საქართველო“ საერთოდ დაიხურა. რასაც ახლა პირველი არხი, „იმედი“ და „რუსთავი-2“ კადრულობენ, ამას 80-იანი წლების არც ერთი ქართული ტელევიზია და არც პრესა ახლოსაც არ გაიკარებდნენ. რა ნამუსით ლაპარაკობენ „იმედის“ ჟურნალისტების დემოკრატიაზე? რატომ ავიწყდებათ თავიანთი არხის ფაშისტური დარბევა სააკაშვილის მიერ. ნუთუ აღარ ახსოვთ, სადისტურად რომ ჩეხავდნენ ხელკეტებით მათ კოლეგებს ნიღბიანი სპეცნაზელები და უმოწყალოდ გააანადგურეს ძვირადღირებული ტექნიკა?! „იმედის“ ჟურნალისტები და მათი დამარბეველი სპეცნაზელები, როგორც ვხედავთ, ეროვნულ თავმოყვარეობას მუნდირის „ღირსებაში“ ცვლიან.

რაც შემეხება მე, მაშინაც და ახლაც ვაზროვნებდი და ვწერდი ისე, რასაც გული და გონება მიკარნახებდა. ცენზურის შიშით არაფერი „გადამისწორებია“. 70-იან წლებში მკაცრად გამაკრიტიკეს, ჩემს ლექსებს ღმერთის აპოლოგია და თეოლოგიური გადახვევა უწოდეს. მერე რა! მე კიდევ უფრო გავამძაფრე ეს თემები. მე ვეთანხმები რუს ემიგრანტ ვაკსბერგს, რომელიც უარყოფდა ცნობილ იდიომას — „არასოდეს არ თქვა „არასოდეს“. კიდევ მეტიც: დღეს ჩამოყალიბდა საკანცელარიო მწერლების, მსახიობების, ხელოვნების სხვა დარგების „ანსამბლი“, რომელიც გუნდრუკს უკმევს დიქტატორულ რეჟიმს. „ბართლომეს ღამეზე“ ფანჯრებიდან მომზირალი მოღვაწენი, 12 საათზე რიგში ჩადგნენ დიქტატორისაგან ორდენების მისაღებად. ეს კულტურის „მოღვაწეთა“ დაჯილდოება კია არა, აბუჩად აგდება და თავსლაფი იყო. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა 9 აპრილს ორდენები და პრემიები რომ მიეღოთ გორბაჩოვისაგან ჩვენს მწრლებს?! 9 აპრილს დაღუპულები გმირებად გამოვაცხადეთ, ხოლო 26 მაისს მოკლულები თითქოს ჩვენ არ გვეკუთვნიან. ვსარგებლობ ინტერვიუთი და უნდა ჩემი წილი მადლობა ვუთხრა სახელოვან სუხიშვილებს, რომლებმაც უარი უთავაზეს სამარცხვინო აღლუმს.

— აღლუმი ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნებოდა?!

— საქართველოს დამოუკიდებლობას საკაშვილმა რუსთაველზე სისხლიანი კალო მიუძღვნა. მან გორბაჩოვს და როდიონოვს მეორეჯერ ჩამორეცხა 9 აპრილის სისხლი და სირცხვილი. თუმცა ჩვენს ზოგიერთ ტელეარხს ამის გამო წარბიც არ შეუხრიათ. თანამემამულეთა სისხლიანი დარბევა აღიქვეს როგორც ხელისუფლების მორიგი „გამარჯვება“, ისე როგორც 7 აგვისტოს ომში. მთელი დღე გაიძახოდნენ — ბურჯანაძემ ხალხი მიატოვა და გაიქცაო. მას არ სჭირდება ჩემი ადვოკატობა, მაგრამ ქალბატონი ნინო არსად არ გაქცეულა, როცა მომწამლავი გაზი გაუშვეს, დაცვამ გაიყვანა მოვლენის ეპიცენტრიდან. ჩვენს ძვირადღირებულ ტელეარხებს დაავიწყდათ, როგორ ფორთხავდა მიწაზე ბრძოლის ველიდან გაქცეული მათი მთავარსარდალი. როგორც ჩანს, დემოკრატ ჟურნალისტებს სურდათ ბურჯანაძე რიგშო ჩამდგარიყო მომწამლავი გაზის ჩასასუნთქად. ახლა ხელისუფალთ და მათ ჟურნალისტებს სურთ საკუთარი ცოდვა ბურჯანაძეს აჰკიდონ. ასეთი ჟურნალისტები, მიმომხილველები და ჩინოვნიკები მაგონებენ ბალზაკის „მამა გორიოს“ პერსონაჟს, რომელსაც პუარე ჰქვია. ბალზაკი მას სოციალური წისქვილის ვირს უწოდებს.

— როგორ ფიქრობთ, აქცია რომ განმეორდეს, სააკაშვილი ისევ ესვრის თავის ხალხს?

— ფაქტობრივად, მან უკვე ესროლა. ჯერ იყო სვანეთის ბარბაროსული დაბომბვის დროს უდანაშაულო ასაკოვანი ქალბატონი მოკლა, მეორედ — ქუთაისში - დედა-შვილი ჯინჭარაძეები დახოცა, ახლა კი — რუსთაველზე მომიტინგეები. როგოც ჩანს, ქართველი მისთვის საზარბაზნე ხორცია. ბაგრატიონიც რომ იყო, ქართველ ბავშვებს 130 წლის ჟურნალ „დილას“ რომ დაუხურავ, ქართველი აღარ ხარ. უმიზეზოდ არაფერი ხდება.

აქციები გამეორდება და პერმანენტულად გაგრძელდება. ხელისუფლებას თბილისელები დასაჭურისებული ჰგონია. ხალხი აბუჩად აგდებას არ აპატიებს. ეკერმანთან საუბარში გოეთე ამბობს, რომ ხალხის შევიწროება შეიძლება, მაგრამ დამონება — არასოდეს. ეგვიპტეში 83 მილიონი მოქალაქის წლიური შემოსავალი ერთ სულზე 6000 დოლარია, მაგრამ ხალხი უკმაყოფილებამ მოიცვა. ჩვენთან წლიური შემოსავალი 1 სულზე სასაცილოა. თანაც ჩინოვნიკების უსაშველოდ გაბერილ შემოსავლებზე მოდის. მაშინ, როცა ქვეყანაში სტიქია მძვინვარებს და ათასობით ოჯახი განსაცდელშია, სააკაშვილმა ნაფტალინიანი სტოუნის ჩამოყვანაში 5 მილიონი დოლარი გადაიხადა, ხოლო ბრაიზას მილიონი დოლარი აჩუქა. რაც შეეხება ფილმ „აგვისტოს ხუთი დღე“, 20 მილიონი დამჯდარა. რეჟისორის და მსახიობების ჰონორარს საგულდაგულოდ გვიმალავენ. ამას ნებისმიერი ქართველი რეჟისორი უკეთ გადაიღებდა...

— ბატონო შოთა, ქართულ პოლიციას რაც უბრძანეს ის შეასრულა?

— სწორედ ეს არის საგანგაშო. პოლიციას უბრძანეს ხალხის სისხლიანი დარბევა და „ფრიადზე“ შეასრულა. შენ რომ გიბრძანონ, შეჭამ ძაღლის ხორცს? პოლ-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

აჭარა P.S. - 2011 წლის 16 აგვისტო №20 (616)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ენა -ბურჯი ეროვნებისა

ენა (მეტყველება) საზოგადოებრივი ურთიერთობის უმთავრესი იარაღია. მისი მეშვეობით ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტს ამყარებენ და აღწევენ გაგებინებას (კომუნიკაციას). ენა წარმოიქმნება კოლექტივში (საზოგადოებაში) და კვდება მის სიკვდილთან ერთად. ეს კოლექტივი შეიძლება იყოს გვარი, ტომი, ხალხი და ერი. მათგან გვარი არის ყველაზე ძველი და ამასთან ყველაზე მარტივი უჯრედი, საზოგადოების განვითარების ადრეული წარმონაქმნი. გვარების გაერთიანების შედეგად ვღებულობთ ტომს, ტომების გაერთიანება ქმნის ხალხს. ეთნიკურ ერთეულთა შორის ყველაზე მსხვილი და ამასთან ყველაზე მაღალი საფეხური არის ერი.

ტომები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთიანდებოდნენ მონათესავე კავშირებად, რომლებიც საუბრობდნენ ერთსა და იმავე ენის სხვადასხვა კილოზე (დიალექტზე). ტომობრივი ენები ამჟამადაც არსებობენ, მაგალითად, ტომის ენებია: ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელების ენა (მაია-ენა, აცკეტური და იროკეზული ენები და სხვა.) ჩვენი ენებიდან ტომის ენას წარმოადგენს: მეგრული, ჭანური (ანუ ლაზური) და სვანური. სხვა ტომობრივი ენებია მაგალითად: დაღესტნური ენები: დიდოური, წახურული, რუტურული და სხვა.

ხალხის ენები გვაქვს დაღესტანში, მაგალითად, ხუნძური (იგივე ავარიული), დარგუული, ლეზგიური, ლაკური, ტაბასარანული; ყაბარდოული (ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკა), ადიღეური (ადიღეის ავტონომიური რესპუბლიკა), ოსური (ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

ხალხის ენებს წარმოადგენს აგრეთვე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ენები: უდმურტული, მორდოვული, კომური... ასევე ციმბირის ხალხთა ენები: ევენკური, ჩუკჩური, კორიაკული, ნენცური, ხანტური, მანსიური და სხვა.

ეროვნული ენებია, მაგალითად, რუსული, სომხური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, მოლდავური და სხვა.

ეროვნული ენები წარმოიქმნებიან არც თუ ისე შორეულად მონათესავე ხალხის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთად ცხოვრებისა და ერთიანი საურთიერთო ენის საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, დღევანდელი იტალიური ენა და ერი ჩამოყალიბდა რომაელების, ბრიტების და სხვა ენათა ურთიერთშეჯვარედინების საფუძველზე და სხვა.

ერის ცნების განსაზღვრებისას გამოყოფენ დამახასიათებელ ნიშნებს: საერთო ენა და ტერიტორია, ფსიქიკური და ეკონომიკური ერთობა. მაგრამ ამათგან უმთავრესი არის ერთიანი ენა და ტერიტორია.
სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანიოთ თურქეთსა და ირანში მცხოვრები წარმოშობით ქართველების საკითხი. მათი საურთიერთობო, განსაკუთრებით ოფიციალურ-საქმიანი (სახელმწიფო) ენა არის თურქული (ან სპარსული), ტერიტორიასთან ერთად შეცვლილია მათი ფსიქიკაც; ისინი წერენ, აზროვნებენ და საუბრობენ არაქართულ (უცხო) ენაზე, ვერ ამჟღავნებენ ვერცერთ ეროვნულ ნიშანს, რა გასაკვირია, თუ დაისმება კითხვა მათი ეროვნულობის შესახებ. მართალია, დღეს ხმარებაშია ტერმინები „თურქი ქართველები“, „თურქი მესხები“ და სხვა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს ცნებები მიგვანიშნებს მათ წარმომავლობაზე და არა ეროვნებაზე! რაოდენ გულსატკენიც არ უნდა იყოს, ისინი ჩვენი ერის დაკარგული შვილები არიან.

ენა არის თვითმყოფადობის და თავისთავადობის უპირველესი ნიშანი — მისი არსებობის საფუძველი. როგორც დიდი ილია ბრძანებდა „არსებითი ნიშანი ეროვნებისა,



მისი სული და გული ენაა“.

ქართველი ერის ღირსეული შვილები ოდითგანვე სიცოცხლის ფასად იცავდნენ მშობლიურ ენას, რადგანაც მათში ღრმად იყო გამჯდარი ეროვნული სულისკვეთება. ასე იბრძოდა აჭარის ქართველობა საკუთარ ენისა და მამულის დასაცავად. მათ გმირულად სძლიეს თურქ-ოსმალოთა ასიმილაციას და სისხლის ფასად შეინარჩუნეს მშობლიური ენა, რამეთუ იცოდნენ, რომ ქართული ენა იყო ჩვენი საამაყო წინაპრების ენა, აკვანში გამოტარებული „იავნანას ენა“ და უტყუარი ნიშანი ჩვენი ხალხის უძველესი და უმდიდრესი კულტურისა, ჩვენი გმირული ცხოვრების მატეანე, ბურჯი ეროვნებისა, მამა-პაპათა ცრემლნაბან სისხლში განბანილი ძვირფასი საუნჯე ერისა.

რამდენი დიდი იმპერია, რამდენი დიდი ქვეყანა და ხალხი გადაშენებულა და აღგვილა მიწისაგან პირისა. რა კატაკლიზმები არ გადახდომია თვას, რმდენ ქარტეხილს არ ჩაუვლია ჩვენზე, მაგრამ ამ ციცქნა ერმა მაინც გმირულად დაიცვა საკუთარი მიწა და ენა.

ვინც პატივს არ სცემს მშობლიურ ენას, არ უყვარს იგი, მას არც სამშობლოსა და მშობლების სიყვარული შეუძლია!

როგორც მშობელ დედას პატრონობს და თავს ევლება ქართველი კაცი, ისე უფრთხილდებოდა იგი ყოველთვის ქართულ ენას, ამიტომაც უწოდა მას „დედაენა“.

ჩვენი დიდი მამულიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართველი კაცი ყველაზე ახლობელს, სანუკვარს და ძვირფასს დედას უწოდებს, მშობელ ქვეყანას — დედასამშობლოს, უმთავრეს ქალაქს — დედაქალაქს, მთავარ აზრს — დედააზრს, ძირითადად საყრდენ ბოძს, გუთნის წინამძღოლ მამაკაცსაც კი — გუთნის დედას და, რა გასაკვირია, თუ მშობლიურ ენას დედაენას დაარქმევდა?!“ (ილია ჭავჭავაძე).

ჩვენი სათაყვანებელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი მშობლიურ ენას დიდ შემეცნებითს და საგანმანათლებლო ფუნქციას აკისრებდა და აღნიშნავდა, მის გარეშე შეუძლებელია მოზარდში სამშობლოსადმი ჭეშმარიტი სიყვარულის ჩანერგვა და სრულყოფილი ცოდნის შეძენა.

ქართული ენა ძველთაგანვე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნებისას და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მას, როგორც ძვირფას ეროვნულ საუნჯეს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ იმ დროისათვის მსოფლიოში სახელგანთქმული სწავლულები: იოანე ზოსიმე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები. მათ შორის საგულისხმოა იოანე ზოსიმეს აზრი, გამოთქმული ნაშრომში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც ქართული ენა ღვთით კურთხეულ ენადაა მოხსენიებული და რომ მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ღმერთი ამ ენაზე განიკითხავს ქვეყანას.

თანამედროვეობის დიდი ქართველი მეცნიერი, ლინგტვისტი ნიკო მარი ქართულ ენას „მსოფლიო დონის“ ენად განიხილავდა და აცხადებდა: „ამ ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც შეიძლება დედამიწაზე გამოითქვას რა გინდ რა ენით.... შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

იაკობ გოგებაშვილის დახასიათებით, „ქართული ენა არის უმაღლესი ხარისხის ორგანიზაცია“... იგი არის „ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა.... განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი, როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკული ფორმებით“.

აკადემიკოს შოთა ძიძიგურს ქართული ენა ნაციონალური თვითშეგნების მთავარ იარაღად მიაჩნდა.

ქართული ენის ბუნებით, მისი თავისებურებებითა და გამოხატვის შესაძლებლობებით ოდითგანვე მოხიბლულნი იყვნენ უცხოეთის ცნობილი ლინგვისტები, ქართველოლოგები: მარი ბროსე, ჰანს ფოგტი, რენე ლაფონი, პ. უსლარი, გიორგი კლიმოვი და სხვები. მოგვაქვს ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები: „ქართული მშვენიერი ენაა, მოქნილი და ზუსტი, ორიგინალური აგებულებისა“ (რენე ლაფონი, ფრანგი — 1899-1975წწ); „ქართული საოცარი ენაა, იგი არც ერთ ევროპულ ენას არ ჩამოუვარდება“ (მარი ბროსე, ფრანგი — 1802-1880 წწ.); „სხვა ეგეთი ანბანსრული ენა ქვეყანაზე არა მეგულება“ (პ.კ. უსლარი, რუსი — 1816-1975 წწ.).

დღეს, XXI საუკუნეში, როცა ჩვენმა ქვეყანამ აღიდგინა ნანატრი თავისუფლება, როცა ქართული ინტელიგენცია დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა ჩვენი ენის სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებასა და ამაღლებაზე, მივიღეთ დამცირებული, უფლებააყრილი, დაკნინებული და დანაგვიანებული ენა, რომელშიც ათასგვარი, სრულიად არასაჭირო უცხო ენობრივი სალიტერატურო ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში განუკითხავად ინერგება და მკვიდრდება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში იხმარება ისეთი უცხო ენობრივი ფორმები, რომელთა შესატყვისები მრავლად მოგვეპოვება ენაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სესხება მეტ-ნაკლებად ხდება ყველა ენაში, მაგრამ ამ პროცესს თვალყურს უნდ ადევნებდეს სახელმწიფო. სესხება მაშინ არის გამართლებული, როცა ენას არ მოეპოვება შესატყვისი სიტყვა. ამ შემრთხვევაში ნასესხები სიტყვები ამდიდრებენ ენას, უცხო სიტყვების შეუზღუდავად და უკონტროლოდ შემოტანა ენაში კი აბინძურებს და საფრთხეს უქმნის სალიტერატურო ენას. არადა, დღეს არანაირი დაცვითი მექანიზმი არ არსებობს, არც ენის სახელმწიფო პალატა ფუნქციონირებს, მაშ, ვინ უნდა დაიცვას ჩვენი ენა?!

„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“ — ბრძანებდა დიდი ილია და გვაფრთხილებდა, რამდენად ძვირფასია ენის სიწმინდის დაცვა და შენარჩუნება ქვეყნისთვის. ერის დამდაბლება ენის დაცემით იწყებაო, — გვმოძღვრავდა ჩვენი ენის უდიდესი ქომაგი გრიგოლ ორბელიანი, როცა ამბობდა: „ერის ცხოვეება, მის ისტორია დაცულ არს ენით... რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს მსოფლიოში 5651 ენას ითვლიან, ამათგან საკუთარი დამწერლობა (შრიფტი) მოეპოვება 14 ენას, მათ შორისაა ქართულიც, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ენის დიდი სიძველეზე, კულტურასა და ღირსებაზე მიგვითითებს.

ნაზი მიქელაძე,
აკადემიური დოქტორი

სარფიდან-ჩოლოქამდე

1-16 აგვისტო

შეხვედრა ეკომიგრაციის თემაზე

სახალხო დამცველის ოფისში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირმა „ბორჯღალომ“ შეხვედრა მოაწყო. შეხვედრა პროექტ „აჭარის ეკომიკრანტთა სოციალურ - სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების“ ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა ეკომიგრაციის საკითხთა აჭარის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია ეკომიგრანტთა განსახლების პროცესზე პასუხისმგებელი ყველა ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულების, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები.

საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ეკომიგრაციის პრობლემური ასპექტების მაქსიმალურად ფართოდ წარმოჩენას. პროექტი ხორციელდება „დემოკრატიის ინსტიტუტი“-ის ფინანსური მხარდაჭერით.

დავით ბაგრატიონი: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირ „ბორჯღალოს“ თავჯდომარე:

- ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ მიგრაციის საკითხთა საკოორდინაციო ჯგუფში შემოგვეყვანა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებთანაც შეხ-

ვედრა დღეს მოვაწყვეთ და ჩვენთვის მნიშვნელოვანია რა თქმა უნდა, მათი მხრიდან რეკომენდაციები. იმიტომ, რომ მათ უშუალოდ ეკომიგრანტებთან აქვთ შეხება. ჩვენი მიზანი არის, აჭარის ეკომიგრანტთა სოციალურ სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ანუ სამართლებრივ მდგომარეობაში მოიაზრება უპირველეს ყოვლისა იურიდიული საკითხები, რომლის ხარვეზებიც დღეს-დღეისობით არსებობს კანონმდებლობაში.

სულხან მესხიძე

მედიაჯგუფი
„აჭარა P.S.“ -ის
საინფორმაციო სამსახური

"რაც მტრობას დაუქცევია"

ამ რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ჩასულმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ასე მიმართა თავის რუს კოლეგას, დღეს ნეტარხსენებულ ალექსი მეორეს:

"ქართველი რომ გაიღვიძებს, ჯერ მზეს შეხედავს და მერე მეზობელს".

ე.ი. ქართველი კაცისთვის მზე და მეზობელი სიცოცხლის მანათობლებიაო. პატრიარქის ყოველი სიტყვა სიბრძნეა, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე. აქ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. "მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო", — ხალხს უთქვამს ასე.

ქართულ ზნე-ჩვეულებებში მეზობლობისა და თანადგომის ინსტიტუტი განსაკუთრებულ სიმაღლეზეა ასული.

ქართულ სუფრასთან ერთ-ერთი უპირველესი იყო და არის დღესაც მეზობლის სადღეგრძელო. ისტორიულად ჩვენს ქვეყანას მეზობელი ქვეყნებისაგან მტრობა, აოხრება და წიოკი მეტი უნახავს და უგემნია, ვიდრე თანადგომა, და მაინც, საიდან გაჩნდა, განივრცო და დამკვიდრდა ერში მეზობლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და მიმტევებლობა, ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია — დიდი რუსთველის ეს ფრაზა ქართული სულისა და აზრის, სინდისისა და მრწამსის ამოძახილია.

ქართველ კაცს ყველაფერი განსაკუთრებული უცხოსათვის ჰქონდა შემონახული, აქედან გაჩნდა სიტყვა "საუცხოო".

მეზობლისადმი და უცხოსადმი ასეთ დამოკიდებულებას სხვა ერში ვერ ნახავ.

ვერ ნახავდი.

დღეს ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული ყმაწვილები არაფრად დაგიდევენ ერის კულტურას, ზნეობას, ტრადიციებს... იმიტომ რომ მათი უმრავლესობა გაურკვეველი წარმომავლობისაა და იმათ გულსა და გონებაში, შესაბამისად ლექსიკაში, სამშობლოს ცნება და განცდა არ არის.

ბოღმამ, შურმა და მტრობამ რაც მოგვიტანა, სახეზე გვაქვს. 2008 წლის აგვისტოს ორდღიანმა ომმა ასობით პირტიტველა მზეჭაბუკი და საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი შეიწირა.

მგონი, არავინ ჩამითვლის მიკერძოებად, თუ ვიტყვი, რომ აღორძინების ხანა სწორედ საქართველოდან დაიწყო. მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა მხატვრულ-ფილოსოფიური აზრის ხელთუქმნელი ძეგლი — "ვეფხისტყაოსანი". ეს არის მაღალი ჰუმანურობისა და ზნეობის ("მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები"), იმ დროისათვის უცხო და მიუღებელი ქალისა და კაცის თანასწორობის ("ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია"), დიპლომატიის ("გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი"), სიყვარულისა და მეგობრობის ("ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად") უბადლო ჰიმნი.

"ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია", — თქვა და საუკენეებს გადაწვდა. გავიდა შვიდი საუკუნე და 1809 წელს ამერიკაში დაიბადა აბრაამ ლინკოლნი — პოლიტიკოსი და საზოგადო მაღვაწე, შემდგომში ამ ქვეყნის ლეგენდარული პრეზიდენტი.

"მე ვსპობ ჩემს მტრებს, მე მათ მეგობრებად ვაქცევ", — თქვა მან.

ორმა დიდმა მოაზროვნემ სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კონტინენტზე ერთი და იგივე ჭეშმარიტება ბრძანა.

"რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია", — საუკუნეების სიღრმიდან მოდის ეს ქართული ხალხური მარადიული ჭეშმარიტება, ეს უფალთან მიახლოებაა —

"ხმა ღვთისა და ხმა ერისა".

თამარ მეფემ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული სამეფოს მონარქმა, აღჭურვილმა ერთპიროვნული მართვის ყველა უფლებით, მსოფლიოში პირველმა შექმნა დარბაზი, იგივე პარლამენტი, სადაც საჯაროდ განიხილებოდა ქვეყნისათვის ყველა საჭირბოროტო საკითხი.

ეს გახლდათ თავისუფალი აზრისადმი პატივისცემის მაღალი გამოხატულება. მხოლოდ საუკუნის შემდგომ, 1215 წელს, ინგლისში, ედმონდის საბატოში შეიქმნა "ადამიანის უფლებათა ქარტია", რომელიც "თავისუფლების ქარტიად" მოიხსენიება.

"ხელისუფლება უნდა მართავდეს ქვეყანას მაღალი ზნეობისა და მორალის პრინციპებით და არა ძალის გამოყენებით", — ჩვენს წელთაღრიცხვმდე მეხუთე საუკუნის დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუცის შეგონებაა ეს.

"მე შეიძლება არ ვემხრობოდე შენს აზრებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათი გამოთქმის უფლება არავინ წაგართვას", — წერდა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მწერალი და მოაზროვნე შარლ არუე, იგივე ვოლტერი.

მე შეგნებულად და მიზანმიმართულად მოვიტანე აქ დიდ მოაზროვნეთა გამონათქვამები.

გენიოსები ყველა დროში თანამედროვენი არიან.

მხოლოდ თავისუფალ აზრს შეუძლია ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს განვითარება. სადაც აზრთა ჭიდილია, იქ იბადება ჭეშმარიტებაც.

საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგაო, გვიმტკიცებს ჩვენი ხელისუფლება და ამას ამბობს 2008 წლის სამარცხვინოდ წამოწყებული ომის სამარცხვინოდ დამთავრებისა და ქვეყნის მეხუთედის დაკარგვის შემდეგ.

ერთი შეხედვით თითქოსდა ყველაფერი რიგზეა ამ მხრივ.

სახელმწიფო სტრუქტურები არის, სახელმწიფო — არა. პარლამენტი ერთი კაცის ჯიბისაა, მთავრობა — ჯიბისაა, აჭარის ხელისუფლებაც იმ ერთი ჯიბისაა.

ერთი სიტყვით, კონსტიტუცია არსებობს, კონსტიტუციური — არა.

2005 წლის 17 ოქტომბრის გაზეთ "ცისკრის" ფურცლებზე რუბრიკით "ათი შეკითხვა ქართველ მწერალს", გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ.

ჟურნალისტის შეკითხვას, როგორი სახელმწიფოა დღეს საქართველო — დამოუკიდებელი, კოლონიური, ნახევრად კოლონიური, რას დაარქმევდით დრევანდელ რეჟიმს — დემოკრატიულს, დიქტატორულს, კრიმინალურ-მაფიოზურს? — ვპასუხობ:

"ჯერ გავარკვიოთ, არის თუ არა საქართველო სახელმწიფო"

სახელმწიფოს, უპირველესად, სახელმწიფო საზღვრები უნდა ჰქონდეს, მკვეთრად გამიჯნული და დაცული. გვაქვს?

დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. გვაქვს?

დამოუკიდებელი სასამართლო უნდა ჰქონდეს. გვაქვს?

ეროვნული ეკონომიკა უნდა ჰქონდეს, უპირატესად, ექსპორტზე გათვლილი. გვაქვს?

სახელმწიფო საკუთარ მამულს, ენას, ერს უნდა იცავდეს. იცავს?

სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უნდა იცავდეს. იცავს? საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ოჯახებში, საკუთარი მოქალაქეების ადამიანურ უფლებებს უნდა იცავდეს. იცავს?

ერისა და ქვეყნის ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში გამომტარებელ სარწმუნოებასაც უნდა იცავდეს, იცავს?

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო საკუთარი ძალოვანი სტრუქტურებისაგან საკუთარ პრემიერ-მინისტრებს ხომ მაინც უნდა იცავდეს. იცავს?

ვართ ჩვენ სახელმწიფო?!"

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ჩემს მიერ მოყვანილი პუნქტებიდან რომელიმე მაინც თუ დადებითად გადაწყდა, მითხარით და ბოდიშს მოვიხდი.

ხალხი გრძნობს, ხედავს და განიცდის, რომ ქვეყანა ხელიდან ეცლება. საუკუნეებით ჭირსა და ვარამში გამოტარებული და დღევანდლამდე სიმწრით მოტანილი მამული იყიდება, ჩანაგდება, იძარცვება, ენა ქართული, ენა რუსთველის, ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას და გალაკტიონის... ხელისუფლებაში მოსული საეჭვო წარმომავლობის ჩინოსნებისაგან უღვთოდ იდევნება, ირყვნება, მცირდება, კნინდება... ინერგება ჩასაფრების, დასმენის, დაბეზღების, ჩაშვების, დაშინებისა და დევნის უსინდისო და უზნეო პოლიტიკა.

სახალხო კრება — ერთადერთი სრულიად ეროვნული გაერთიანება, უშიშრად და ღიად აღუდგა წინ ხელისუფლების აღვირახსნილობას.

"მიეცით ადამიანებს იმდენი, რამდენიც მათ საარსებოდ ეყოფათ და ისინი პირუტყვებად გადაიქცევიან", — წერდა შექსპირი.

ჩვენთან მოსახლეობის 80 %-ს საარსებო მინიმუმიც არ გააჩნია.

როგორ არ მინდა, რომ მართალი იყოს გენიალური ინგლისელი დრამატურგი. ჩვენთან მიმართებაში მაინც, მაგრამ... როცა ერი და ბერი ერთად უნდა დავმდგარიყავით ქვეყანაში გამეფებული უმსგავსოების წინააღმდეგ, ბათუმშიცა და თბილისშიც ხალხის უმნიშვნელო რაოდენობა გამოვიდა.

იქნებ, სახალხო კრებაა ამაში დამნაშავე? იქნებ რაღაც ვერ გავაკეთეთ ისე?

უფრო ადრე ბათუმის კულტურისა და დასვენების პარკის ერთი ნაწილი ხელისუფლების განკარგულებით რომ გაჩეხეს, უნიკალური ხეები დაგლიჯეს და დახერხეს, მოსახლეობაში მაშინვე გაჩნდა უკმაყოფილება. ქალაქი აღშფოთებული იყო. აჭარაში მოქმედმა ყველა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა ღია პროტესტი. პარკის დასაცავად კი ხალხის სულ უმნიშვნელო რაოდენობა შეიკრიბა. პოლიციასთან შეტაკებაც მოხდა. მომდევნო დღეებში სულ უფრო მცირდებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა...

ჩვენ, ცხადია, არ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება შეისმენდა ხალხის გულისწყრომას და პარკს შეეშვებოდა. ვიცოდით, რომ დავალება ზემოდან მოდიოდა, ძალიან ზემოდან, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთ.

გულსატკენი იყო, პარკის წინ მცხოვრები მოსახლეობა, ვინც ყოველდღე იმ ხეების ჩრდილში ატარებდა დროს, ფანჯრებიდან უყურებდა ჩვენს მცდელობებს.

(დასასრული მე-7 გვერდზე)

სარფიდან-ჩოლოქამდე

1-16 აგვისტო

ძახილი...



გუშინ, სასტუმრო მაილოს სააქტო დარბაზში საკმაოდ წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ახვლედიანის წიგნის - „ძახილი“ წარდგინება გაიმართა.

მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა თანამოკალმეებმა, მეგობრებმა, თანამებრძოლებმა, აღინიშნა, რომ ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივი ნიჭით მადლმოსილი შემოქმედია, უფალს მისთვის უხვად უბოძებია სიტყვის, ფერის და ბგერის განცდა. ცნობილი მწერალი და მხატვარი, კვლავაც თავდავიწყებით და პროფესიულ დონეზე ასრულებს კლასიკურ რომანსებს...

როგორც წიგნის გამოცემაში ბატონი ვახტანგის უმთავრესი მხარდამჭერი, ჩვენი თანაქალაქელი ზაურ სოლომონიძე წერს, ბატონი ვახტანგი -„ლიტერატურის ერთ ცალკეულ ჟანრში ვერ ეტევა - პროზა, პოეზია, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ავტობიოგრაფიული ჩანახატები მისი დაუდეგარი ბუნებიდან მოდის“...

წიგნი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, აჭარული დიალექტითა და ამ კუთხის მადლიანი მადლითაა გაჯერებული, მასში შესულია ვახტანგ ახვლედიანის ნოველები, პიესები, ლექსები... აქვეა პოემა „ძახილი“, რომელიც 1992 წელს დაიწერა და მაშინვე განსჯის თემად იქცა. ამ რთულ ნაწარმოებში მისტიკურ ფერებში გათქმ-



ულმა მხატვრულმა სახეებმა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყო გაცხადება.

წიგნის სარედაქციო კოლეგიის აზრით, „ძახილი“ - დღეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ავტორმა ამიტომაც გამოიტანა იგი წიგნის სათაურად.

ვულოცავთ ბატონ ვახტანგს მრავალთაგან კიდევ ერთი წიგნის გამოცემას და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

„აჭარა P.S.“

მედიაჯგუფი
„აჭარა P.S.“ -ის
საინფორმაციო სამსახური

სამქალი

აჯარა P.S. - 2011 წლის 16 აგვისტო №20 (616)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

გენდერული თანასწორობა - სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი პირობაა

კლასიკური განმარტებით, გენდერული თანასწორობა-თანაბარ შესაძლებლობებს, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში ორივე სქესის ადამიანების თანაბარ დონეზე მონაწილეობას და გამოჩენას ნიშნავს. იგი გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას და თანაბარ მონაწილეობას როგორც პირად, ასევე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გენდერული თანასწორობა ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებით დღეს მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგანაც გენდერული უთანასწორობის პრობლემა ძალზედ აქტუალური გახდა. სოციოლოგები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ გენდერული თანასწორობის უგულვებელყოფა, ქალის როლის დაკნინება, უფლებათა შეზღუდვა და მამაკაცის აბსოლიტური დომინირება ჰქმნის კიდეც საუკეთესო გარემოს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისთვის. თუ ეს მნიშვნელოვანი პრინციპი საზოგადოების მიერ იგნორირებულია, მაშინ სამოქალაქო, დემოკრატიული საზოგადოების შექმნაზე საუბარი არასერიოზულია. მოკლედ, დღეს, როცა საინფორმაციო საშუალებებით შესაძლებელია ამ მხრივ ნებისმიერი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვება და გავრცელება, შესაბამისად ძნელია ვირტუალური გარემოს რეალურად გასაღებაც, რასაც არაერთი ქვეყანა და მისი მმართველი სახელისუფლებო ძალები ცდილობენ, თუმცა ამაოდ, ჩვენ ხომ მოწმენი ვართ იმისაც, მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით განვითარებადებში - ქალის როლი იმდენადაა იგნორირებული, რომ მას სრულფასოვან წევრად არც კი მოიაზრებენ.

როცა ოფიციალურ სტატისტიკას ვეცნობით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის გენდერული თანასწორობის პრინციპის აღიარება და დაცვა, ჩვენთვის ქართველებისთვის სხვა ერებთან შედარებით ეს თემა გამორჩეულიცაა, იმიტომ რომ ჩვენ ამ მხრივ ისტორიული ტრადიციები გაგვაჩნია და ქალს ჩვენი წინაპრები გამორჩეულად ეპყრობოდნენ, იგი ითვლებოდა ოჯახის და სიცოცხლის საწყისად, ქალზე უდიერი მოპყრობა და ფიზიკური ძალის გამოყენება სიმდაბლედა, მაგრამ საფრთხეები მაინც არის და იგი სერიოზულ გამოწვევებსაც ბადებს, თუმცა ბოლო დროს განვითარებულმა პროცესებმა ცხადყო, რომ ჩვენს ცხოვრებაში დასავლური, ცივილიზებული ფასეულობებისკენ სწრაფვამ, მათი ნაწილის უკვე დამკვიდრებამ, საუკეთესო საფუძველი და ნიადაგი შექმნა პროგრესისთვის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ტრადიციული და უძველესი კულტურის ქვეყანაა, თანაც მრავალეროვანი და რელიგიური სპექტრიც მრავალფეროვანია. აქ ერთმანეთში საუკუნეების მანძილზეა აღრეული აღმოსავლური და დასავლური კულტურები და ტრადიციები, სადაც ძალზე ძნელიცაა ერთიანი, ცივილიზებული სამყაროსთვის მისაღები პრინციპების დამკვიდრება.

სტატისტიკა ვახსენეთ და, მინდა გითხრათ, რომ იგი ერთობ შემაშფოთებელი და დამაფიქრებელიცაა.როგორც ირკვევა გენდერული ძალადობის შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად უფრო მეტი ქალი იღუპება ვიდრე კიბოს, მალარიისა და ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთად აღებული! შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ სელექციური აბორტების, იგივე ინფანტიციდის შედეგად 100 მილიონზე მეტი გოგონაა გამქრალი. გაეროს ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური კომისიის (ESCAP) მონაცემებით, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები დაახლოებით 47 მილიარდ დოლარს კარგავს ყოველწლიურად შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის სიმწირის გამო. მოკლედ, სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები გენდერული უთანასწორობის შედეგებს ითვლიან, გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკები მსოფლიოს ძალიან დიდ ნაწილში პანდემიური ცნებაა! გენდერული თანასწორობის პრინციპებს საქართველოში მართლაც ძალზე დიდი და შთამბეჭდავი ისტორია და გამოხატულება აქვს. აქ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენმა კლესიამ, მართლმადიდებლობამ და ისტორიულად ჩამოყალიბებულმა მეურნეობრიობამ და სახელმწიფოებრივი მოწყობის ტრადიციულმა მიდგომებმა. ზოგადად ჩვენს ეროვნულ კულტურაში მცნება გენდერული თანასწორობის თაობაზე არ არსებობს, მაგრამ რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში" ხომ ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი გენდერული თანასწორობა გახლავთ; თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი დავიწყოთ იმით, რომ ყველაფრის თავი და თავი-ოჯახი, ოჯახური გარემო და პრინციპია. სწორედ ქართული ოჯახის ფენომენმა, მისი შექმნისა და თავად ოჯახის წევრების ურთიერთობების პრინციპებმა, წესებმა და მიდგომებმა, ოჯახის სულიერი, ზნეობრივი და იდეური სიმტკიცის აუცილებლობისთვის ზრუნვამ, ოჯახის პასუხისმგებლობამ მომავლის, გარემოცვისა და თუნდაც სახელმწიფოს წინაშე შექმნა ის გარემო, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს გენდერული თანასწორობის ქართული ფენომენი.

,,ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა -გამგეობაში. ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო",– წერდა ჩვენი დიდი ერისკაცი და მეცნიერი, ქართული ეროვნული საგანძურის ერთგული მცველი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი.

ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქართული თუ უცხოური ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ საქართველოში ქალს განსაკუთრებული ადგილი, ფუნქცია ჰქონდა, გამორჩეული იყო ჩვენში ქალისადმი ტრფობაც და პატივისცემაც.

ქართული საზოგადოება აღიარებდა, რომ ჭკვიანი და სათნო ქალი ამოყვრებდა, ამეგობრებდა და არიგებდა გადამტერებულ ადამიანებს, ზოგჯერ მთელ საგვარეულოებსაც და სახელ-

(დასასარული მე-7 გვერდზე)

(დასასარული)

იციამ შეჭამა. ჭამა სხვა რამეც, წესიერ ხალხში რომ არ ითქმება. ასე უბრძანეს 9 აპრილს როდიონოვს და მის ჯარისკაცებს. ამ უკანასკნელმა დერეფანი მაინც მისცა მომიტინგეებს. სააკაშვილის ჯალათებმა კი ალყაში მოაქციეს. ეს მიტინგის დაშლა კი არა, სისხლიანი შურისძიება იყო. პოლიციელი, რომელიც ნონა გაფრინდაშვილს ხელჯოხს დაარტყამას, ის არც ქართველი და არც კაცია. 26 მაისს, 9 აპრილთან შედარებით, კუბში აყვანილი სისასტიკე გამოავლინა ქართულმა პოლიციამ. ძალიან ბევრი პოლიციის განყოფილებაში აწამეს, მათ შორის ბათუმელი მურმან დუმბაძეც. იგი ახლაც მძიმე მდგომარეობაშია. პარტია, რომელიც მურმან დუმბაძეს გარიცხავს თავისი რიგებიდან, საქართველოში მისი ადგილი არ უნდა იყოს. როგორც ირკვევა, საწამებელთა სიებიც კი ჰქონიათ შედეგენილი. სააკაშვილი ცრუობს, საავადმყოფოში არც ერთი მომიტინგე არ მოხვედრილაო. სპეცრაზმელები და პოლიციელები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ქართველი ერის წინაშე, ყველანი წარსდგებიან ხალხის სამსჯავროზე.

— ვთქვათ, სააკაშვილი გადადგა, თქვენ რომელ პარტიას ენდობით, ან ვინ მიგაჩნიათ ეროვნული ცნობიერების გამომხატველ ლიდერად?

— თუ ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, ვიტყვი ლენინური სლოგანის საპირისპიროდ, სქართველოში არ არის ასეთი პარტია. „ოპოზიციური" პარტიები სააკაშვილის სამსახურში დგანან. მათ ხალხს უღალატეს. ამიტომაა, რომ ამერიკა, სოროსი და სააკაშვილი გულუხვად აფინანსებენ. ისინი ჯიპებზე გადაჯდნენ და ჩინოვნიკებივით გალაღებული ცხოვრობენ. ჩემი აზრით, ნინო ბურჯანაძეს და ნონა გაფრინდაშვილს შარვლები უნდა ეცვათ და ხალხის მოღალატე პარტიების „ბელადებს" – კაბები. ნაცმოძრაობა – ეს მოქკაშირისა და აღორძინების აშმორებული კოქტეილი, მალე წარსულის გადმონაშთი გახდება. რაც შეეხება ლიდერს, ეს ბატონი თემურ შაშიაშვილია, რომელსაც ტკივილამდე უყვარს ხალხი და სამშობლო. მე მივესალმები თუ კენჭს ის იყრის საპრეზიდენტო არჩევნებში. ყოველ შემთხვევაში, იგი ქართულ მიწას, ერთ გოჯსაც კი, არ გაჰყიდის. ეროვნული ცნობიერებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, სააკაშვილი მის მოწაფედაც არ გამოდგება. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, სხვებისაგან განსხვავებით, უყოყმანოდ დადგა ხალხის მხარეზე და გამოავლინა მედგარი სულისკვეთება. სულ მალე მოვა დრო, როცა 7 ნოემბრისა და 26 მაისის მსხვერპლთა მემორიალი დაიდგმება. ისინი ვინც დღეს ბურჯანაძის დასჯას მოითხოვენ, მე და შენ მიგვასწრებენ მემორიალთან.

— ვის გულისხმობთ?

— შემძრა 29 მაისს პირველი არხის გადაცემამ. აგრესიას ყველაზე მეტად გაკაპასებული წამყვანი ქალბატონი ავლენდა. რა თქმა უნდა, მისი შერჩეული რესპონდენტებიც. ნუთუ ამ ხალხს არ ჰყავთ მშობლები, მეგობრები, მეზობლები, არ ჰყავთ შვილები, და-ძმები, არ აქვთ ოჯახები?! რაც შევარდნაძისა და აბაშიძის დროს უკანონო და ანტიკონსტიტუციური იყო, ახლა, დარჩიაშვილის აზრით, თურმე, ზეკონსტიტუციურია.

— ბატონო შოთა, ცენტრალურ პრესაში თქვენი არაერთი მწვავე საპროტესტო სტატია დაიბეჭდა ბათუმში მეზობელ თურქეთის მიერ ჯამეს მშენებლობის მოთხოვნის წინააღმდეგ.

— ჩემმა უფროსმა მეგობარმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ და მკვლევარმა აზიზ ახვლედიანმა თურქთა ამ განზრახვას ტროას ცხენი უწოდა. თუ რატომ, ამას კომენტარი აღარ სჭირდება. მართალია დღევენდელი თურქეთი ევროპისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის იდეოლოგიაში ახლაც ფიგურირებს პანთურქიზმის ნაღმი. უბრალოდ, იგი დროსა და მომენტს უცდის თავის ასამოქმედებლად. ჯერჯერობით კი ცდილობს ბათუმში ძეგლი დაუდგას აჭარაში მის სამსაუკუნოვან ბატონობას. დღესდღეობით თურქებმა აჭარაში გახსნეს და ფუნქციონირებს 51 მედრესე და 9 მედრესე-ინტერნატი, 180-მდე ჯამე. ამ დროს აჭარლებს თათრებს გვეძახიან. ახლახან „Goli.ge"-სათვის მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ამბობს, რომ „აჭარაში თათარი ბავშვი ვიპოვეთ"... ლაპარაკია აჭარელ ახალბედა ფეხბურთელზე. ბავშვსაც კი შეურაცხყოფენ. ამ ფრაზის კომენტარი უნდა ვთხოვო ჩემთვის ღვთაებრივად პატივსაცემ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი ბათუმში ცისფერი მეჩეთის შენების თურქულ იდეას, რამაც გამაოგნა.

ახლახან გავრცელდა შემაშფოთებელი ინფორმაცია: ქალაქ ბათუმის მიმდებარე სოფელ ფერიაში თურქებმა შეიძინეს მოქალაქე ვარდო რობაქიძის სახლი და მამული, სადაც სურთ ააგონ მასშტაბური ისლამური სემინარია, რომელშიც, მედრსედამთავრებულმა ქართველმა ბავშვებმა უნდა განაგრძონ უფასოდ სწავლა. საკითხავია, რატომ აძლევს ამის ნებართვას საქართველოს და გნებავთ, აჭარის ხელისუფლება?! ერთი დიდი ალიაქოთი ატყდებოდა თბილისში, ეს რომ აბაშიძის დროს მომხდარიყო! ახლა რატომ ჩაიგდო ენა დედაქალაქმა?!

ჩემი ფიქრით, ეს ცენტრალური ხელისუფლების მართლმადიდებლური სარწმუნოების საწინააღმდეგო პროგრამის ნაწილია. ამ პროგრამით შეფერხდა აჭარლების მამაპაპურ რელიგიასთან ზიარების პროცესი. 7 წლის წინათ, მოსახლეობის ინიციატივითა და შემოწირულობებით, მაღალმთიან შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში აშენდა გამონათლევის ულამაზესი ეკლესია. სამწუხაროდ, იგი ჯერაც არ გახსნილა და ბოქლომი ადევს, რადგან არ მოხერხდა წინამძღვრის დანიშვნა. არის სერიოზული ეჭვი, რომ ამაშიც ხელისუფლების ხელი ურევია. მოვუწოდებ ეროვნული ცნობიერების გამომხატველ ინსტიტუტებს ხმა აიმაღლონ ყოველივე ამის წინააღმდეგ.

უკვე აშკარაა ხელისუფლების მიერ ჩვენი ვაიპარლამენტის საშუალებით საპატრიარქოს ანექსიის მცდელობა. რატომ ჰგონია ბატონ კუბლაშვილს ჩვენი პატრიარქი „ვინმე", რომელთანაც არ არის სავალდებულო საკითხის შეთანხმება, თუ ის რელიგიას ეხება?! მაშინ რატომ შეუთანხმა ეს საკითხი ხელისუფლებამ სომხეთის ეკლესიის წინამძღონ გარეგინ მეორეს? ამ კითხვას, ვიცი, არავინ უპასუხებს. თუმცა საბედნიეროდ, ზოგი რამ თითქოს გაირკვა.

— ბატონი სააკაშვილი ტრაბახობს, ბათუმში სასწაული ხდებაო, ბათუმი ჩემი ქალიშვილიაო?!

— საჯარო და სამუსიკო სკოლების, ბიბლიოთეკების, ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ინსტიტუტების დახურვა, შენობების გაყიდვა, მასობრივი უმუშევრობა და თურქების მიერ მედრესე-ინტერნატების, ჯამეების, კაზინოების, ტრაქტატების, კაფე-შანტანების, სასტუმრო-ბორდელების მშენებლობა თუ სასწაულია, კი ბატონო. მე მომისმენია, რომ, თქვა, ბათუმი ჩემი ქალიშვილიაო. სავალალო ის არის, ეს „მისი ქალიშვილი" თურქერთს მიათხოვა. ბათუმი ბათუმელებს აღარ გვეკუთვნის. იგი სააკაშვილის ჩინოვნიკებმა და თურქებმა დაინაწილეს. ჯერ იყო და დედაქალაქის სტატუსი ჩამოართვა, აჭარის პარლამენტს სოფელ ჩაქვში მიერეკება. ფაქტობრივად, აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობაა.

— პრესაში დაიბეჭდა უცხოეთის წამყვანი ფსიქიატრიული კლინიკების დასკვნები სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.

— მსგავსი დასკვნები სადღაც მეც წამიკითხავს, მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, კლინიკებისა და საექსპერტო დასკვნების, რეიტინგებისა და ამგვარი რამეების არაფერი მწამს. ჩემი აზრით, იგი უფრო ფილისტერულია. მის ქცევებში ფარისევლობა იკითხება. რაც შეეხება კონკტეტულ შემთხვევას, ვიტყვი მხოლოდ ერთს: როცა ბრეჟნევი ვიზიტით მიდიოდა უცხოეთში, სპეცსამსხურებს მისთვის სპეციალური უნიტაზი მიჰქონდათ და მისი მუცლის ნაგავი მოსკოვში ჩამოჰქონდათ, რათა უცხოეთის დაინტერესებულ სპეცსამსახურებს ანალიზი არ აეღოთ და არ დაედგინათ ძვირფასი ლეონიდეს ქრონიკული დააავადებები. როგორც ჩანს, სააკაშვილის დაცვას, უცხოეთში ვიზიტების დროს, დაავიწყდა უნიტაზის წაღება.

— ბატონო შოთა, მოდით ისევ მწერლობას დავუბრუნდეთ: თქვენ უადრესად აკადემიური პოეტი და ესეისტი ხართ. როგორია თქვენი გეგმები? როგორ უყურებს მომავალს შოთა ზოიძე, რომელიც მალე 70 წლის გახდება?

— მადლობა ქათინაურისთვის. მე ახლა სიკვდილისთვის ვემზადები. ზუსტად 70 წლის იყო გალაკტიონი, როცა ფანჯრიდან გადმოხტა. ცხადია, მე არც გალაკტიონი და არც ფანჯრიდან გადმომხტომი არა ვარ. ადრეც მითქვამს, დღეს საქართველოში არ არის პოეტი ფანჯრიდან რომ გადმოხტება. ამას დემონის ბიძგი სჭირდება. დღესდღეობით ჩემი ლექსები, პოემები, თარგმანები, ესეები, პუბლიცისტიკა, საუბრები, ეპისტოლეები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მონოგრაფიები, სამოცდაათ-ოთხმოც საავტორო ფორმას შეადგენს და, ჩემი ფიქრით, 6 ტომში უნდა ჩაეტიოს. მისი გამოცემის არავითარი სახსარი არ გამაჩნია. 1998 წლიდან, რაც უარი ვუთხარი აბაშიძის რეჟიმს, ფაქტობრივად, უმუშევარი ვარ. ათ წელიწადზე მეტია, წიგნი არ გამომიცია. 1992 წლიდან არც ერთი ლარი ჰონორარი არ ამიღია. ერთი სიტყვით, ჩარეცხილი პოეტი ვარ. დღევანდელობაში რუსული კულტურის მგზნებარე დამცველი, უკანასკნელი ევროპელი „პოდვიუნიკი" გერა წუხდა, ჩემი თხზულებანი არც რუსეთში და არც საფრანგეთში არავის სჭირდებაო. ნამდვილად არ ვიცი, ვის როგორ სჭირდება ჩემი ლექსები და ესეები საქართველოში. თუ სიკვდილი დამაცლის ან სიკვდილს დამაცლიან, შევეცდები ექვსტომეული კომპიუტერში ჩავტვირთო და ასე დავუტოვო მომავლის მეცენატს.

გურამ გოგიაშვილი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"

გოგოგოგოლის ჰელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის უნიტაზი და წისქვილის ვირები...

გენდერული თანასწორობა - სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი პირობაა

(დასასრული)

მწიფოებსაც. ის იყო სიყვარულის, ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლო. ქალის მანდილს ხომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა მოჩხუბართა შორის ქალი მანდილის ჩაგდებას მოასწრებდა, მოწინააღმდეგენი ქიშტს თავს ანებებდნენ.

ქართველი ქალის მაღალი, მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი როლი ისტორიაში, ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ჩანს მრავალ ისტორიულ ძეგლში, მხატრულ ნაწარმოებებში, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ამის გვირგვინია, თუმცა ქალის მიმართ დამოკიდებულების თავისებური ხედვა და პრობლემები ქართული ლიტერატურის საწყისიდან „შუშანიკის წამები”-დან მე-5 საუკუნიდან იწყება....

ქართველ ქალებზე აღფრთოვანებულნი წერდნენ ესქილე, ქსენოფონტე, ფლიტომეი, სტრაბონი, ხაკანი, პიდრო დელა-ვალე, პავლე მარია ფაიამცენი, იოანთანი, ვაგიფი, ჟან დე მონპერე, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ბარონი ტორნაუ, ალექსანდრე პუშკინი და სხვები.

საქართველოს ისტორიას ათასწლეულთა წიაღში გადავყავართ. ძველი ბერძნული საისტორიო წყაროები თუ თქმულებათა ციკლი მოგვითხრობს 3500 წლოვან ამბებს ოქროს საწმისზე, ოქრომრავალ კოლხიდაზე, არგონავტების მოგზაურობაზე აია-კოლხეთში, უძველესი ცივილიზაციის აკვანზე, მედეაზე, რომელთანაც დაკავშირებულია სიყვარულისა და სიძულვილის, ერთგულების ღალატის ვაჟკაცობისა და ლაჩრობის საოცარი ისტორია. ეს მაშინ დაიწერა აპოლონიოლ როდოსელის მიერ, როცა რომსა და საბერძნეთში ქალი მხოლოდ გართობის, ვნებისა და გამრავლების, შესაბამისად შეძენის, გაჩუქება-გაყიდვისა და დამცირების ობიექტი იყო. სწორედ მედეას განუმეორებელმა სახემ, სიძლიერემ და როლმა შთააგონა ავტორი, შეექმნა ეს ისტორიული ქმნილება. სხვათაშორის, მედეა გამონაკლისი არ ყოფილა. თავისი არსებობის მანძილზე ქვეყანას ყავდა გამორჩეული ქალები რომლებმაც თავის დროზე ეპოქები შექმნეს, ამ მხრივ ძნელია სამყაროში ჩვენნაირი ქვეყნის მოძებნა: იყო მედეა, გვყავდა კირკე, მოციქულთა სწორი ნინო-მეფეთა მომაქცეველი, რომელმაც წმინდა მოციქულთა სწორის ღვაწლით საქართველოში განამტკიცა და ააღორძინა ქრისტიანობა, გვყავდა გვირგვინოსანი და საჭეთმპყრობელი ქალებიც, რომელთა ანალოგები მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება: მეფე რუსუდან დედოფალი, თამარი, ქეთევან დედოფალი, მარიამ დადიანი, ფებრონია წინამძღვარი, მარიამ დედოფალი, კრავაი ჯაყელი, გულჩარა, ტამარ ბაგრატიონი, მარიამ-მართა დედოფალი ბიზანტიისა, გურჯი ხათუნი-თამარ მეფის შვილიშვილი, და ერთადერთი ქრისტიანი ცოლი ყოვლისშემძლე სულთან ყიას-ედ-დინ ქაიროსლო II-ისა, სეტინ-ეფისძე მამელუქთა დედა, გვყავდა პომპეუსთან მეომარი ამორძალი ქალებიც და ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა და და, გვყავდა მაია წყნეთელიც, თინა წავკისელიც, თამარ ვაშლოვნელიც და ქართველი ჟანა დარკიც- მარო მაყაშვილიც. იყო დარეჯან დედოფალიც, ქეთევან ბატონიშვილიც, თეკლა ბატონიშვილიც, თამარ ბატონიშვილიც, ეკატერინე ბარათაშვილიც. გვყავდა ქართველი მადამ რეკამიე-მანანა ორბელიანის და ნინო ჭავჭავაძეც და მერი შერვაშიძეც, ოლღა გურამიშვილიც და... ვეფხვთან მეომარი მოყმის დედაც....

ქვეყნის სამსახურში ქართველი ქალები დღესაც აქტიურად იბრძვიან და იღწვიან. ჩვენ დავინტერესდით რა სიტუაციაა ამ მხრივ ქობულეთის რაიონში სადაც ოფიციალური სტატისტიკით თუ მონაცემით 90 000 ადამიანი სახლობს და მოსახლეობის ნახევარზე მეტი -ქალია...

ზოგადად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში თითქმის იგივე მდგომარეობაა, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში, ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისი, გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება დედაქალაქი იყოს, სადაც თავმოყრილია ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებები და ხელმძღვანელ თანამდებობებზე შედარებით მეტი ქალია დასაქმებული. იქ ამის უფრო მეტი შესაძლებლობაცაა და ქალების პროფესიული თუ სამეცნიერო მომზადების პოტენციალი უფრო მაღალია.

როგორც სხვაგან, ქობულეთშიც ქალების დასაქმების ძირითადი სფერო განათლება, ჯანდაცვა და მცირე ბიზნესია, უმეტესწილად კი ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სფერო. რაც შეეხება მათ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებსა და სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა ჩართულობის სურათი ასეთია. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 დეპუტატიდან 2 ქალია, მუნიციპალიტეტის გამგებლის 3 მოადგილედან ერთი ქალია, ხოლო გამგეობის სამ სერიოზულ სამსახურს, რომელშიც მნიშვნელოვანი სამეურნეო და სოციალური სფეროებია თავმოყრილი ქალები ხელმძღვანელობენ და საკმაოდ წარმატებულადაც. ქალი ხელმძღვანელობს რაიონის ჯანდაცვის სფეროსაც, ხოლო რაიონში მოქმედი ჯანდაცვის 16 დაწესებულების მთავარი ექიმებიდან 15 ქალია. საკმაოდ მაღალია ქალთა დასაქმების ხვედრითი წილი საბანკო სისტემაშიც, აქ პერსონალის უმეტესობა ქალია. რაც შეეხება განათლების სისტემას აქ ტრადიციულად ქალთა დომინირება ნარჩუნდება რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელიც ქალია, და რაიონის 39 საჯარო და კერძო სკოლასაც ქალი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება ბიზნესში მოღვაწე ქალბატონებს აქ ცოტა ძნელია ზღვარის გავლება, მართალია ქალები ჯერ კიდევ ჩრდილში არიან, თუმცა როგორც დავადგინეთ რაიონში სამ ათეულ საშუალო და მცირე ბიზნესს საწარმოს ქალები ხელმძღვანელობენ.

როგორც შედეგები და მონაცემები ადასტურებს, გენდერული თანასწორობის მიღწევის მხრივ პროგრესი აშკარად სახეზეა, თუმცა ეს სულაც არ გახლავთ საკმარისი. ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვართ და ბევრი რამ რაც გენდერული თანასწორობის საყოველთაო დეკლარაციითაა განსაზღვრული ქართული ყოფით, მენტალიტეტში ძნელად ჯდება. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არის სფეროები რომლებშიც ქალების აქტიური ჩართულობა ძნელდება და ნელი ტემპით ვითარდება. როგორც წესი, როდესაც საქმე ბიზნესსა და რთულ ფინანსურ ოპერაციებზე მიდგება, საზოგადოება და ჩვენც, ნაკლებად მივესალმებით ქალების მონაწილეობას, მიუხედავათ იმისა არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ის კომპანიები, სადაც უმაღლესი რგოლის მენეჯმენტსა და დირექტორთა საბჭოებში ქალების დიდი წარმომადგენლობაა, ფინანსურად გაცილებით წარმატებულნი არიან, თუმცა გენდერული თანასწორობის მხრივ არსებულ სტატისტიკაში ისეთი ფაქტებიცაა, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას და დაფიქსირებას მოითხოვს. თავად განსაჯეთ, როცა 6 მილიარდიან პლანეტაზე, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია, მიწის მესაკუთრე ქალთა რაოდენობა მხოლოდ ერთი პროცენტია. რაც ოფიციალური სტატისტიკით დასტურდება.

გარდა ამისა, საგანგაშოა რომ სქესის ნიშნის მიხედვით ჩაგვრის შედეგად აფრიკის კონტინენტზე ყოველდღიურად საშუალოდ 6000 გოგონას უტარებენ გენიტალურ მუტილაციას, ხოლო 90-იან წლებში კოსოვოში შეიარაღებული კონფლიქტის დროს 30-დან 50 ათასამდე ქალი გაუპატიურეს. თუმცა იმას ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს მარტო აფრიკის აზიისა და ვთქვათ კოსოვოს პორობლემაა. თუ მონაცემებს გადავხედავთ ირკვევა, რომ საქართველო მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით 134 ქვეყნიდან 84 ადგილზეა. და ისეთ ქვეყნებსაც კი ჩამორჩება, როგორიცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა. ჩვენთან ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული ისეთი ფენომენი, როგორიცაა ადრეული ქორწინებები, მოტაცება ქალიშვილობის ინსტიტუტი, ე. წ. „ღირსების მკვლელობებიც“ კი. ყოველი მე-11 ქალი მეუღლის, პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35 პროცენტზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის: ფსიქოლოგიურ, ვერბალურ, და ეკონომიკურ ძალადობას. როგორც ჩანს, ეს ისეთი გამოვლინებებია, რომლებიც საუკუნეების წინ, ჩამოყალიბდა და მას განსაკუთრებული მიდგომები სჭირდება.

R ნუგზარ ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

მასალა მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით

„რაც მტრობას დაუქცევია“...

(დასასრული)

ვიცოდით, ვერაფერს გავხდებოდით მაგრამ ყველა პარტია თუ არასამთავრობო გაერთიანება ერთად დავდექით უნიკალური პარკის დასაცავად. ყველაზე აქტიური აქაც სახალხო კრება იყო.

ვიცოდით, რომ 21-22 და 25-26 მაისის აქციებით ხელისუფლებას ვერ გავისტუმრებდით, მაგრამ სახალხო კრება მაინც გამოვიდა. იმედი გვქონდა, სხვა პარტიებიც შემოგვიერთდებოდა. სამწუხაროდ, არც ბათუმში და არც თბილისში არ მოხდა ასე.

რაიონებიდან ჩამოსული ხალხი სჭარბობდა.

ქალაქელთა დიდი ნაწილი სახლებში ჩაიკეტა და ტელევიზორით სურდა სიახლის გაგება.

"ვაი, იმ ქვეყანას, სადაც თითოში ყველა არ არის და ყველაში – თითო. სადაც "მე" სჭარბობს "ჩვენს", – წერდა ილია.

ხელისუფლებაში დავანებულთათვის სამშობლოს ცნება, ერი და ეროვნული ღირებულებები, ჩვენი დიდი ისტორია, ტრადიციები, ლიტერატურა, კულტურა, ყველაფერი ქართული, მათ შორის დედაენა და დედაც კი, საქილიკო და საღლაბუცოა.

ამათ სძულთ ქართველი ერი. სძულთ და ეშინიათ. რომ შეეძლოთ, ერთიანად გაგვწყვეტენ, გაგვჟუჟავენ, სინსილას არ დატოვებენ. აკი ხელისუფლებაში მოსვლიდანვე ახორციელებენ ამას. მაისის მოვლენებმა ყველა ზღვარს გადააბიჯა. რომელი შენი თემურლენგი და აღამა-ჰმადხანი, ჯალალედინი და შაჰაბაზი. ისინი უცხო ქვეყნებს ებრძოდნენ საკუთარის სადიდებლად. რაც ამათ რამდენიმე წელიწადში ქვეყანას აწვნიეს, ასწლეულებში ვერ მოახერხეს იმათ.

და თუ ბრმა სიძულვილით ავენთებით, ამ ხელისუფლებას დავემსგავსებით.

"უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია", – ისევ რუსთველს ვესესხები.

ხალხში შიშია გამჯდარი. ისე ეშინიათ მომავლისა, რომ რწმენა დაკარგული აქვთ.

სხვა რომ მოვა, უკეთესი იქნება? – გულის კანკალით კითხულობენ.

ქართველს ქართველისა აღარ სჯერა. აი, რას მიაღწიეს ამათ.

შიში ცუდი მეგზურია. შიშით ქვეყანას ვერ გადაარჩენ.

მაისის დღეებში ბათუმსა და თბილისში ქვეყნისათვის გულანთებული ვაჟკაცები და ქალბატონები გამოვიდნენ.

„ბეზუმსტვუ ხრაბრიხ პოიომ მი პესნიუ“, – ეს სტრიქონები გორკისაა. "სიმღერა არწივზე" ჰქვია ამ ნაწარმოებს. "მამაცთა სიშლეგეს ვუმღერთ ჩვენ სიმღერებს", – ასე ითარგმნება იგი.

მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი და პოეტი ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ ერეტიკოსად შერაცხა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა. ბრუნომ გაუსწრო თავისი დროის კოსმოლოგიურ შეხედულებებს. მან გამოთქვა მოსაზრება იმ დროისათვის უცნობი პლანეტების არსებობის, მზისა და ვარსკვლავების ღერძის გარშემო ბრუნვის შესახებ.

კოცონზე შემდგარს, კიდევ ერთხელ მიმართეს, უარეყო თავისი ანტირელიგიური შეხედულებები. ჯორდანო ჩაფიქრდა. "მაინც ბრუნავს!" – თქვა და მარადიულობაში გაფრინდა.

სხეული დაიფერფლა, სული კი ამაღლდა და განივრცო.

არ ვიცით, ვინ იყო მაშინ იტალიის ხელისუფალი. არცაა ეს საინტერესო, მაგრამ, იდეას შეწირული ვაჟკაცის ჯორდანო ბრუნოს სახელი მარადიულობის საკუთრებაა.

დიმიტრი მეორე მონღოლთა ურდოში დაიბარეს. სამეფო საბჭომ ურჩია, არ წასულიყო, რადგან უეჭველი სიკვდილი ელოდა. მეფე არ დაეთანხმა – თუ არ წავალ, ერს გაგვიჟლეტენო.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავდადებული უწოდა მეფე დიმიტრი მეორეს.

მღვდელმა თევდორემ ტყე-ღრეში ატარა თურქთა ლაშქარი. გზა აუბნია, რათა ქართველობა მომზადებულიყო მტრის დასახვედრად. მტრებმა იგი აწამეს და აკუწეს.

მარადიულობის, გმირობის, თავდადების სიმბოლოდ იქცა მისი სახელი.

სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ქეთევან წამებული, პაატა სააკაძე... რამდენის ჩამოთვლა შეიძლება, ვინც მამულისათვის, ქვეყნისათვის, სარწმუნოებისათვის თავი დადო. ყველა მათგანმა იცოდა, რაც ელოდა, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა სინდისი და ზნეობა დააყენა.

"არწივს შეუძლია, ქათამზე დაბლა დაფრინდეს, ქათამი კი ვერასოდეს ასწვდება ღრუბლებს", – აღმოსავლური სიბრძნეა ეს.

მაისის აქციებში მონაწილენი გმირები არიან.

1982 წელს დავწერე პოემა "ძახილი". ეს იყო ჩემი პირველი პოეტური ნაწარმოები შვიდი პროზაული წიგნის შემდეგ.

"სულით და ხორცით უთვისტომო, უცხო სხეული, უმართავი, უმაძღარი, უშნო, გრძნეული, კაცი ზონზროხა და ჭკუამრუდი პატიოსნების მაგიდას უზის", – ვწერდი და თავად არ ვიცოდი რა მაწერინებდა ამას.

"ვიცი, საიდან, როგორ მოხვედი,
მაგრამ არ ვიცი, საით მიდიხარ.
შენზე დარდი და ფიქრი ყოველი,
სავსეა ჩემი მზით და მიწითა.
საუკუნეთა უწყვეტი ჯარა,
ვინ იცის, რამდენ ჯვარცმას გითვლიდა,
შორს, მომავალში წასული შარა
მორწყულა ცრემლით, ოხვრით, სისხლითა.
კვლავაც მრავალი ჯვარცმა მოგელის
შენივ ღალატის, ბეზღის ნიჭითა
და კვლავაც მოჰკვეთს მსახვრალი ცელი
მარჯვენს მამულის ერთგულ ბიჭისა,
კვლავაც მრავალჯერ იწივლებს ტყვია,
ნასროლი შენივ ჯიშის ლულიდან
და შეუყვები დრო-ჟამის ტრიალს
შენივე ყოფნის დასასრულიდან."

ესეც ერთი ნაწყვეტია პოემიდან.

გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ისეთი დღე მაყარეს, ინფარქტი გარდაუვალი გახდა.

ვწერდი "ძახილს" იმედით, რომ ვინმე გაიგონებდა და შეისმენდა ჩემს "ხმას მღაღადებლისას"...

ვწერდი, რადგან სხვანაირად არ შემეძლო.

პოემაში გათქმულმა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყო გაცხადება და სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ვიყავი და ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ სიყვარულით მივლია. სიძულვილი ვერ ვისწავლე.

სიყვარული გადაარჩენს საქართველოს, სიყვარული მამულის, ენის სარწმუნოების.

მამულს გვართმევენ და გვიყიდიან, ენა ბილწავენ და რყვნიან, სარწმუნოებას ბღალავენ. ბოლო დღეების მოვლენებმა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ვთხოვ, მოვუწოდებ ერსა და ეკლესიას, ჯვარი აღვმართოთ მაღლა და დავდგეთ ერთად სამშობლოს გადასარჩენად. სხვა გზა არ დაგვიტოვეს ამათ.

სიყვარული და თავდადება სჭირდება მამულს, ენას, სარწმუნოებას.

"რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!" – ზეციური გზაა ეს. გზა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვიყვანს.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ,

მწერალი

Geogrand

ს ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა მ ა შ ი ს ა

ინტერნეტ-ტოტალიზატორი "ბეო ბანდი"

WWW.GEOGRAND.GE

მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ თ ა ნ:

კოეფიციენტების ნამრავლი-2000

თამაშების ფართო არჩევანი

ყველაზე მაღალი კოეფიციენტები

ტექნიკურ სამუშაოებთან დაკავშირებით გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ა/წ 16 აგვისტოს.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

დაიწყო ხელმოწერის კამპანია მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის გამოცემებზე:

„აჭარა P.S."- 1 წლით - 32 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, 3 თვით - 8 ლარი.

„ჩემი ქობულეთი" - 1 წლით - 20 ლარი, 6 თვით - 10 ლარი, 3 თვით - 5 ლარი.

ხელშეკრულებების გაფორმება ბინაზე მომსახურებით, დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 22 36 06 ან 551 55 30 55

უზბეკური სამზარეულო ბათუმში

ბათუმში დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე გაიხსნა უზბეკური სამზარეულო, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ საუკეთესო ტრადიციული ჯერძები, მისცეთ შეკვეთები სახლიდან გაუსვლელადაც 24 საათის განმავლობაში.

მის: ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ტელ: 579 44 34 37.

შპს „ნილე-ჯგუფი"

მამოიძახეთ გაზი 3-24-03; 7-36-39

ჩვენი აბონენტებისათვის გაზის ხელსაწყოების ტექნიკური მომსახურება უფასოა!

დარეკეთ: 893 18-19-74

რეკლამა „აჭარა P.S."-ში უმოკლესი გზა თქვენი ბიზნესის წარმატებისკენ! 551 55 30 55

გუგული დავითაძე - ხარაზისა

გარდაიცვალა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს №2 საჯარო სკოლის დამსახურებული პედაგოგი გუგული დავითაძე - ხარაზისა.

გუგლი დავითაძე 1979 წლიდან დღემდე მუშაობდა ფიზიკის მასწავლებლად, იყო დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, იყო კარგი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებები. იყო კარგი აღმზრდელი, ყოველმხრივ მოწესრიგებული, ესთეტიკური ადამიანი, კარგი დედა და მეგობარი. ქალბატონი გუგული დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. გუგული (დოდო) დავითაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომელთა და მის აღზრდილთა გულებში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს №2 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს №2 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის დამსახურებული პედაგოგი

გუგული დავითაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

www.adjaraps.wordpress.com
საქართველოს რესპუბლიკა მეფის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი
აჭარა P.S.
გამოცემის მეოთხეტეგე წელი
ჩვენ არ ვიმეორებთ შეარს!
E-mail:adjaraps@mail.ru

მთ. რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე

დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S." რეგისტრაციის № 03-4-111

მისამართი: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ.№13, ტელ: 2 36 06, მთ. რედაქტორი: 9-24-04

სარედაქციო კოლეგია: ამირან კილურაძე, ეთერ ჩხაიძე, ნუგზარ ჟორდანია, ნანა ახალაძე, ცისანა ანთაძე, ნაირა ქობულაძე, ნატო ბერია.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!

ბეჭდავს შპს „პოლიგრაფ - 2010"-ში, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№162